გაკვეთილის რეფლექსია

საგანი - მუსიკა

კლასი - VIII

თემა - დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულსა და უხილავში.

გაკვეთილის მიზანი - მოსაწავლეები შეთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტების საფუძველზე იმსჯელებენ დეკლამაციის ნაირსახეობებსა და სხვა მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში. მოამზადებენ პრეზენტაციას რაც ხელს უწყობს პრეზენტაციის უნარის განვითარებას.

გაკვეთილი იყო მიზანთან შესაბამისი, მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები/მეთოდები და აქტივობები იყო სწორად დაგეგმილი და განხორციელებული, რამაც შესაძლებელი გახადა მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, გაკვეთილის მიზნის მიღწევა.

გაკვეთილზე გამოყენებული მქონდა შემდეგი აქტივობები: თემის, მიზნის, შეფასების რუბრიკების გაცნობა, ცოდნის აქტუალიზაცია, ახალი მასალის ახსნა, მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენა, სქემაზე მუშაობა, ცოდნის განმტკიცება, პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა, გაკვეთილის შეჯამება შეფასება.

გაკვეთილი დავიწყე თემის, მიზნის, შეფასების რუბრიკების გაცნობით. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად გამოვიყენე კითხვა-პასუხის მეთოდი, ასევე გამოვიყენე მუსიკალური მასალა დეკლამაციის ნაირსახეობები რითაც მოსწავლეებმა გაიხსენეს თემასთან დაკავშირებული უკვე ნაცნობი ინფორმაცია. გაუაქტიურდათ არსებული ცოდნა ახალ მასალასთან დაკავშირებით, გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და დაინტერესება.ახალი მასალა მივაწოდე ინტერაქციული მინი ლექციით,ხილულისა და უხილავის უკეთ აღსაქმელად გამოვიყენე დეკლამაცია, წავუკითხე მონოლოგი ორატორიიდან ,,ჟანა დარკი“ სცენა ,,ჟანა ცეცხლზე“ შემდეგ კი მოვასმენინე მუსიკალური ფრაგმენტი და ვთხოვე აეხსნათ სად გამოიკვეთა ხილულისა და უხილავის ელემენტები დეკლამაციაში თუ მოსასმენ ნაწილში. მოსწავლეთა პასუხები საკმაოდ არგუმენტირებული და გააზრებული იყო რაც დაასაბუთეს სქემასთან მუშაობისას. გამოყენებული რესურსი სქემის სახით ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნის განმტკიცებას, შესაბამისობის პოვნას მუსიკის მახასიათებლებსა და დეკლამაციაში გამოყენებული ინტონაციური ფორმულების ამოცნობას, ხილულისა და უხილავის გამიჯნვას.

სქემასთან მუშაობამ გაუმყარა მოსწავლეებს მოსაზრებები, რის შემდეგაც ვთხოვე გადანაწილებულიყვნენ ჯგუფებად. მივაწოდე ინსტრუქცია, ვთხოვე მოემზადებინათ

პრეზენტაცია რა როლს ასრულებს დეკლამაცია ორატორიაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად და წარედგინათ კლასის წინაშე. ჯგუფებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.წარმოადგინეს პრეზენტაციები გააანალიზეს მოცემული საკითხი, ახსნეს თუ როგორ გადმოიცემა ხილული და უხილავი ორატორიის ჟანრში, ისაუბრეს სიტყვისა და ინტონაციის მნიშვნელობაზა დეკლამაციაში, მოიყვანეს არგუმენტები.

გაკვეთილის შესაჯამებლად გამოვიყენე შემაჯამებელი სხვადასხვა სააზროვნო უნარებზე მორგებული კითხვები. მოსწავლეებმა მკაფიოდ გამოთქვეს მოსაზრებები, არგუმენტირებული პასუხები გასცეს დასმულ შეკითხვებს და შეაჯამეს თემა.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შევაფასე საერთო საკლასო და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკების გამოყენებით.

გაკვეთილი წარიმართა გეგმის შესაბამისად არ დამჭირვებია მოდიფიცირება.

რაც შეეხება გაკვეთილზე გამოვლენილ ნაკლოვანებებს, დრო მიმაკლდა და მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოვიყენე დასვენების რამდენიმე წუთი.

ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი დიდ დახმარებას გამიწევს პროფესიულ ზრდაში, გაკვეთილების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მუსიკის პედაგოგი - შორენა ბერიძე.

15.04.2022წ.